



მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები.....	12
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	22
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	23
6. ამონაგები	27
7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....	27
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	28
9. სხვა შემოსავალი.....	28
10. წმინდა ფინანსური ხარჯი	28
11. ძირითადი საშუალებები.....	29
12. საინვესტიციო ქონება	29
13. მარაგები	30
14. გაცემული სესხები.....	30
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	31
16. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	32
17. სესხები	32
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
19. არამაკონტროლებელი წილი, გამსვლელი ჯგუფი და შეწყვეტილი ოპერაციები.....	34
20. საწარმოთა გაერთიანება.....	37
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	40
22. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები.....	41
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	41
მმართველობის ანგარიშგება	42

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიქსორის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მიქსორის“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაშია განმარტებული, 2022 წლის დეკემბერში ჯგუფმა მოაპოვა კონტროლი მეკავშირე საწარმოზე შპს „რითეილ ჯგუფზე“ (სუპერმარკეტების ქსელი „მაგნიტი“) და ეტაპობრივად განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვისთვის გამოიყენა საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი, რადგან ვერ შეძლო აღნიშნული შვილობილი კომპანიის ზოგიერთი არსებითი აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულებების დადგენა შეძენის თარიღისთვის. აღნიშნული აღრიცხვის მიდგომა არ შეესაბამება ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“ სტანდარტის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისად, საწარმოთა გაერთიანება უნდა აღირიცხოს შეძენის მეთოდით, და ეტაპობრივად განხორციელებულ გაერთიანებაში ადრინდელი სააქციო წილი უნდა გადაფასდეს სამართლიან ღირებულებამდე შეძენის თარიღისთვის. დამატებით 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჩაუტარებია შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად გაანგარიშებული გუდვილის ტესტირება გაუფასურებაზე. როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაშია განმარტებული, 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა სრულად გაასხვისა შპს „რითეილ ჯგუფი“ და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული საწარმო ჯგუფის შემადგენლობაში აღარ შედის. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ დაგვიდგენია ზუსტად, რა გავლენა იქონია ზემოაღნიშნულმა ფაქტმა შესადარისი პერიოდის კაპიტალის საწყის ნაშთზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი გამსვლელი ჯგუფის აქტივებზე და ვალდებულებებზე, 2024 და 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი შეწყვეტილი ოპერაციებიდან მოგებაზე, დამფუძნებელთან ოპერაციის ეფექტზე კაპიტალში და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაშია განმარტებული, 2024 წლის თებერვალში ჯგუფმა გაყიდა ინვესტიციები სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ და შპს „რითეილ ინვესტმენტსში“. შედეგად, მშობელმა საწარმომ დაკარგა კონტროლი აღნიშნულ შვილობილ და მათი გავლით ფლობილ სხვა შვილობილ კომპანიებზე (შენიშვნა 1). ჯგუფის ხელმძღვანელობამ ვერ მოგვაწოდა გასული შვილობილი კომპანიების დეტალური ფინანსური ინფორმაცია კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებაზე, რომელიც ასახულია ჯგუფის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯამურად 654 ათასი ლარით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები შეწყვეტილი ოპერაციების 2024 წლის შედეგთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთების ისტორიულ ღირებულებაზე და ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომლისათვისაც ვერ მივიღეთ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან დამატებითი მტკიცებულება სასარგებლო ვადების გონივრულობის დასაბუთებლად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 11,304 ათასი ლარით (2023: 10,213 ათასი ლარით). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-17 შენიშვნაშია განმარტებული, 2023 წელს ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხი ჩანაცვლდა სხვა მხარის სესხით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარის დასტურის წერილი და შეთახმება სესხის პირობების ცვლილებაზე. შედეგად ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება სხვა მხარიდან მიღებული სესხების შემდგომ აღრიცხვაზე. მიღებული სესხები, რაზეც ჩვენ ვერ შევძელით მტკიცებულების მოპოვება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 4,707 ათასი ლარით (2023: 4,189 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მიღებულ სესხებთან და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებისა და ვითარებების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოს მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 ნოემბერი 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიქსორის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მიქსორის“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაშია განმარტებული, 2022 წლის დეკემბერში ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი მეკავშირე საწარმოზე შპს „რითეილ ჯგუფზე“ (სუპერმარკეტების ქსელი „მაგნიტი“) და ეტაპობრივად განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვისთვის გამოიყენა საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი, რადგან ვერ შეძლო აღნიშნული შვილობილი კომპანიის ზოგიერთი არსებითი აქტივისა და ვალდებულების სამართლიან ღირებულებების დადგენა შეძენის თარიღისთვის. აღნიშნული აღრიცხვის მიდგომა არ შეესაბამება ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“ სტანდარტის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისად, საწარმოთა გაერთიანება უნდა აღირიცხოს შეძენის მეთოდით, და ეტაპობრივად განხორციელებულ გაერთიანებაში ადრინდელი სააქციო წილი უნდა გადაფასდეს სამართლიან ღირებულებამდე შეძენის თარიღისთვის. დამატებით 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჩაუტარებია შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად გაანგარიშებული გუდვილის ტესტირება გაუფასურებაზე. როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაშია განმარტებული, 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა სრულად გაასხვისა შპს „რითეილ ჯგუფი“ და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული საწარმო ჯგუფის შემადგენლობაში აღარ შედის. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ დავიდგენია ზუსტად, რა გავლენა იქონია ზემოაღნიშნულმა ფაქტმა შესადარისი პერიოდის კაპიტალის საწყის ნაშთზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი გამსვლელი ჯგუფის აქტივებზე და ვალდებულებებზე, 2024 და 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი შეწყვეტილი ოპერაციებიდან მოგებაზე, დამფუძნებელთან ოპერაციის ეფექტზე კაპიტალში და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაშია განმარტებული, 2024 წლის თებერვალში ჯგუფმა გაყიდა ინვესტიციები სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ და შპს „რითეილ ინვესტმენტსში“. შედეგად, მშობელმა საწარმომ დაკარგა კონტროლი აღნიშნულ შვილობილ და მათი გავლით ფლობილ სხვა შვილობილ კომპანიებზე (შენიშვნა 1). ჯგუფის ხელმძღვანელობამ ვერ მოგვაწოდა გასული შვილობილი კომპანიების დეტალური ფინანსური ინფორმაცია კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვემოწიოთ აუდიტორული პროცედურების ჩატარება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებაზე, რომელიც ასახულია ჯგუფის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ჯამურად 654 ათასი ლარით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები შეწყვეტილი ოპერაციების 2024 წლის შედეგთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთების ისტორიულ ღირებულებაზე და ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომლისათვისაც ვერ მივიღეთ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან დამატებითი მტკიცებულება სასარგებლო ვადების გონივრულობის დასასაბუთებლად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 11,304 ათასი ლარით (2023: 10,213 ათასი ლარით). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-17 შენიშვნაშია განმარტებული, 2023 წელს ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხი ჩანაცვლდა სხვა მხარის სესხით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარის დასტურის წერილი და შეთახმება სესხის პირობების ცვლილებაზე. შედეგად ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება სხვა მხარიდან მიღებული სესხების შემდგომ აღრიცხვაზე. მიღებული სესხები, რაზეც ჩვენ ვერ შევძელით მტკიცებულების მოპოვება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 4,707 ათასი ლარით (2023: 4,189 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მიღებულ სესხებთან და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ენარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებისა და ვითარებების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოს მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 ნოემბერი 2025

მიქსორი ჯგუფი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	54,277	61,457
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(44,146)	(48,831)
საერთო მოგება		10,131	12,626
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,404)	(3,044)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა	15	891	79
სხვა შემოსავალი	9	409	5,293
საოპერაციო მოგება		7,027	14,954
წმინდა ფინანსური ხარჯი	10	(480)	(3,955)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობიდან		737	(733)
მოგება დაბეგვრამდე		7,284	10,266
მოგების გადასახადის სარგებელი		(191)	-
წმინდა მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		7,093	10,266
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	19	654	2,848
წმინდა მოგება		7,747	13,114
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		7,747	13,114
წმინდა მოგება მიკუთვნებული:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		7,721	11,640
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		26	1,474
წმინდა მოგება		7,747	13,114
სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		7,721	11,640
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		26	1,474
სრული შემოსავალი		7,747	13,114

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ილია შიხაშვილი

ფინანსური დირექტორი

ანა ჩოჩელი

მიქსორი ჯგუფი


მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	54,277	61,457
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(44,146)	(48,831)
საერთო მოგება		10,131	12,626
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,404)	(3,044)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა	15	891	79
სხვა შემოსავალი	9	409	5,293
საოპერაციო მოგება		7,027	14,954
წმინდა ფინანსური ხარჯი	10	(480)	(3,955)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		737	(733)
მოგება დაბეგვრამდე		7,284	10,266
მოგების გადასახადის სარგებელი		(191)	-
წმინდა მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		7,093	10,266
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	19	654	2,848
წმინდა მოგება		7,747	13,114
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		7,747	13,114
წმინდა მოგება მიკუთვნებული:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		7,721	11,640
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		26	1,474
წმინდა მოგება		7,747	13,114
სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		7,721	11,640
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		26	1,474
სრული შემოსავალი		7,747	13,114

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი		ილია შიხაშვილი
ფინანსური დირექტორი		ანა ჩოჩელი

მიქსორი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	11,304	10,213
საინვესტიციო ქონება	12	915	834
არამატერიალური აქტივები		11	124
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		-	729
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,230	11,900
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	7,060	5,160
გაცემული სესხები	14	1,148	1,874
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	2,015	821
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	1,660	2,502
		11,883	10,357
გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის აქტივები	19	-	403,940
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,883	414,297
სულ აქტივები		24,113	426,197
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		1,255	21,660
გაუნაწილებელი მოგება		2,274	17,845
არამაკონტროლებელი წილი	19	-	2,844
სულ კაპიტალი		3,529	42,349
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	17	6,254	3,977
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,254	3,977
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	17	10,743	57,226
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	3,587	2,802
		14,330	60,028
გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებები	19	-	319,843
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,330	379,871
სულ ვალდებულებები		20,584	383,848
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,113	426,197

მიქსორი ჯგუფი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არა მაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022		24,278	31,139	27,833	83,250
კაპიტალის განაწილება		(2,618)	-	-	(2,618)
გამოცხადებული დივიდენდები		-	(2,582)	-	(2,582)
სრული შემოსავალი		-	11,640	1,474	13,114
შვილობილ კომპანიაში წილის ზრდა	17	-	(22,352)	(26,463)	(48,815)
31 დეკემბერი 2023		21,660	17,845	2,844	42,349
კაპიტალის განაწილება		(20,405)	-	-	(20,405)
გამოცხადებული დივიდენდები		-	(1,453)	-	(1,453)
სრული შემოსავალი		-	7,721	26	7,747
დამფუძნებლებთან ოპერაციის ეფექტი	14;19	-	(21,839)	(2,870)	(24,709)
31 დეკემბერი 2024		1,255	2,274	-	3,529

მიქსორი ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		7,938	13,114
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		7,550	38,908
მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა/(ხარჯი)	15	(741)	1,000
მარაგების გაუფასურების ხარჯი	9	1,384	6,510
წმინდა ფინანსური ხარჯი	10	3,610	21,430
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(30)	352
მოგება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტიდან	9	-	(5,142)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(224)	1,684
		19,487	77,856
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების (ზრდა)/კლება		(2,864)	4,630
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება		(5,410)	(15,650)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		6,634	22,789
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		17,847	89,625
გადახდილი პროცენტები	17	(3,896)	(20,154)
გადახდილი მოგების გადასახადი		(126)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		13,825	69,471
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულის შემოსვლა საწარმოთა გაერთიანების შედეგად	20	-	1,921
წმინდა ფულის გასვლა შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად	19	(10,981)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(8,502)	(21,344)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(107)	(183)
ძირითადი საშუალებების გასვლა		229	463
არამატერიალური აქტივების შეძენა		(243)	(150)
სესხის გაცემა		-	(533)
მიღებული პროცენტები		898	426
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(18,706)	(19,400)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	17	32,237	235,913
სესხების დაფარვა	17	(28,672)	(250,107)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(1,839)	(11,077)
მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებით მიღებული შემოსულობა		2,899	16,078
ფინანსური ინსტიტუტისთვის განხორციელებული დაფარვები			
მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმების მიხედვით		(2,825)	(13,477)
საწესდებო კაპიტალის გატანა		(20,405)	(2,618)
დამფუძნებლების გადაწყვეტილებით ოპერაციის ეფექტი	14;19	(1,867)	-
გაცემული დივიდენდი		(1,453)	(2,582)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(21,925)	(27,870)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(26,806)	22,201
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	28,445	6,179
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა		21	65
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	1,660	28,445

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიქსორი“ (შემდგომში ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 11 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ხანძთელის ქუჩა #1. მშობელი საწარმოს ძირითადი საქმიანობა არის რკინა-ბეტონის პროდუქტების წარმოება და წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მფლობელებს.

	2024	2023
ცეზარ ჩოჩელი	50%	50%
იზოლდა ჩარიგოგდიშვილი	50%	50%

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს. ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის სტრუქტურას.

დასახელება	სტატუსი	2024	2023	საოპერაციო საქმიანობა
სს ქართული ლუდის კომპანია	შვილობილი	-	100%	ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმლის წარმოება და რეალიზაცია
შპს მიქსორცემენტი	შვილობილი	100%	100%	უმოქმედო
შპს ჯიბისი ინვესტი	შვილობილი	-	100%	უმოქმედო
შპს რითეილ ინვესტმენტი	შვილობილი	-	100%	უმოქმედო
შპს ჩოჩელი ჯგუფი	შვილობილი	-	100%	უმოქმედო
შპს დოლნეი ქენსალთენსი	შვილობილი	-	100%	უმოქმედო
შპს რითეილ ჯგუფი	შვილობილი	-	56.67%	საცალო გაყიდვები
შპს ზედაზენი 2012	შვილობილი	-	100%	დისტრიბუცია
შპს ზედაზენი ქართლი	შვილობილი	-	100%	უმოქმედო
შპს ისარი XXI	ერთობლივი საწარმო	50%	50%	უმოქმედო
შპს ინფრა კონსტრაქშენ მიქსორი	ერთობლივი საწარმო	50%	50%	უმოქმედო

2023 წლის აგვისტოს ბოლოს შპს „მიქსორმა“ არამაკონტროლებელი წილისგან შეიძინა სს „ქართული ლუდის კომპანიის“ აქციების 36,5%, რის შედეგადაც კომპანიამ კუთვნილი წილი გაზარდა 100%-მდე, იხილეთ შენიშვნა 19. 2023 წლის დეკემბერში სს „ქართული ლუდის კომპანიამ“ შეიძინა სადისტრიბუციო კომპანია შპს „ზედაზენი 2012“ (რომელიც თავის მხრივ ფლობდა შპს „ზედაზენი ქართლს“), იხილეთ შენიშვნა 20.

2024 წლის თებერვალში კომპანიამ გაყიდა ინვესტიციები სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ და შპს „რითეილ ინვესტმენტსში“. ინვესტიციების გაყიდვა განხორციელდა შპს „ჩოჩელი ინვესტმენტ გრუპზე“. ოპერაციის შედეგად მშობელმა საწარმომ დაკარგა კონტროლი სს „ქართული ლუდის კომპანიაზე“, შპს „რითეილ ინვესტმენტს“-ზე და იმ კომპანიებზე, რომელთაც აკონტროლებდა ამ ორი კომპანიის გავლით - შენიშვნა 19.

ცხრილი გვიჩვენებს მშობელ საწარმოს და შვილობილი კომპანიების სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით. წილების ფლობა შეესაბამება ხმის უფლებას.

შპს მიქსორი			
	100%	შპს მიქსორცემენტი	100%
სს ქართული ლუდის კომპანია		შპს რითეილ ინვესტმენტს	
	100%		100%
შპს ჯიბისი ინვესტი		შპს ზედაზენი 2012	
	100%		100%
შპს ჩოჩელი ჯგუფი		შპს ზედაზენი ქართლი	
	100%		
შპს დოლნეი ქენსალთენს			
	27%	20%	10%
შპს რითეილ ჯგუფი			

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 3-ე შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით. ჯგუფის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს. მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სტანდარტს/ცვლილებებს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზეგასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

3.3 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებელისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფი ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

როდესაც ხელშეკრულებით დაპირებული ანაზღაურება მოიცავს ცვალებად თანხას, ჯგუფი აფასებს ანაზღაურების ოდენობას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს იგი დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, „თაროზა განთავსების საკომისიოს“, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. დაპირებული ანაზღაურება შეიძლება იმ შემთხვევაშიც იცვლებოდეს, როდესაც ჯგუფის უფლება ანაზღაურების მიღებაზე დამოკიდებულია სამომავლო მოვლენის მოხდენაზე ან არმოხდენაზე. მაგალითად, ანაზღაურების ოდენობა ცვალებადი იქნება, თუ პროდუქტი გაიყიდა უკან დაბრუნების უფლებით.

ცვალებადი ანაზღაურება ფასდება მოსალოდნელი ოდენობის მეთოდის გამოყენებით. მოსალოდნელი ოდენობა არის ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ანაზღაურების მნიშვნელობების ალბათობებით შეწონილი სიდიდეების ჯამი. ანაზღაურების მოსალოდნელი ოდენობა შეიძლება იყოს ცვალებადი ანაზღაურების სათანადო შეფასება, როდესაც ჯგუფის ანალოგიური მახასიათებლების მქონე ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. ჯგუფი მიიჩნევს რომ მოცემული მეთოდის გამოყენებით უკეთ არის შესაძლებელი იმ ანაზღაურების ოდენობის პროგნოზირება, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი მოსალოდნელი ოდენობის მეთოდით შეფასებულ ცვალებად ანაზღაურებას გარიგების ფასში ნაწილობრივ ან სრულად რთავს მხოლოდ იმის გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით არის თუ არა მოსალოდნელი, რომ შემდგომში, ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის პრობლემის გადაჭრის დროს, დაგროვილი აღიარებული ამონაგების სიდიდე მნიშვნელოვნად არ შემცირდება.

„თაროზე განთავსების საკომისიო“ წარმოადგენს საცალო ვაჭრობის ქსელში პროდუქციის შეტანის სანაცვლოდ მომხმარებლებისთვის გადასახდელ ანაზღაურებას. ჯგუფი მომხმარებლებისთვის გადასახდელ ანაზღაურებას ასახავს, როგორც გარიგების ფასის და, მაშასადამე, ამონაგების შემცირებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მომხმარებლისთვის გადახდა ხორციელდება მომხმარებლის მიერ საწარმოსთვის გადაცემული განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისთვის. როდესაც მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურება მოიცავს ცვალებად თანხას, ჯგუფი მოსალოდნელი ოდენობის მეთოდით განსაზღვრავს გარიგების ფასს.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების მომსახურების ვადების.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10-25
მანქანა-დანადგარები	4-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-12
ავიჯი და სხვა აღჭურვილობა	2-10
იჯარის გაუმჯობესება	3-10
სხვა	2-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

3.6 იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, წარმოადგენს თუ არა ის იჯარას ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება ჩაითვლება იჯარად, თუ იგი გადასცემს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღში ჯგუფი აღიარებს: აქტივის გამოყენების უფლებას, რომელიც წარმოადგენს იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენს საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ დღევანდელ ღირებულებას. ჯგუფი არ აღიარებს აქტივებსა და ვალდებულებებს იმ იჯარებზე, რომელთა ვადა არ აღემატება 12 თვეს ან რომლებიც დაბალი ღირებულების აქტივებს ეხება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ხოლო მისი არქონის შემთხვევაში, ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით. საიჯარო ვალდებულება იზრდება დარიცხული პროცენტით და მცირდება განხორციელებული გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება ცვდება იჯარის ვადის ან აქტივის სასარგებლო ვადის განმავლობაში, იმის მიხედვით, რომელი უფრო მოკლეა.

საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება, როდესაც იცვლება საიჯარო გადახდების ოდენობა, იჯარის ვადა ან სხვა პირობები. ამ ცვლილების შედეგად მიღებული კორექტირება ასახულია აქტივების გამოყენების უფლებაში ან მოგება/ზარალში, საჭიროებისამებრ. ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და აღიარებს მათ ერთიანად.

იჯარის ვადა განისაზღვრება როგორც არაგაუქმებადი პერიოდი, რომელსაც ემატება პერიოდები, როცა საკმარისად სარწმუნოა, რომ ჯგუფი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას ან არ გამოიყენებს შეწყვეტის უფლებას.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 2-25 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

3.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით, გარდა საცალო ქსელში გასაყიდი მარაგებისა, რომლის ჩამოწერისთვის გამოიყენება ფიფო მეთოდი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

3.10 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულება წარმოადგენს: ა) შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან: (i) მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან (ii) ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფი ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება

ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ემიტენტმა წინასწარგანსაზღვრული თანხები გადაუხადოს მფლობელს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც მიიღებს იმის გამო, რომ გარკვეულმა დებიტორმა, სავალო ინსტრუმენტისთვის თავდაპირველად დადგენილი ან შეცვლილი პირობების შესაბამისად, დროულად ვერ გადაუხადა ვალი.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულება ფასდება ფასს 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.12 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება შენატანების რეალური ღირებულებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.13 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3.14 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.15 გასაყიდად გამიზნული აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

ჯგუფი გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) მიანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. ამისათვის, შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს.

იმისათვის, რომ გაყიდვა მაღალი ალბათობით იყოს მოსალოდნელი, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. ამასთან, უნდა მოხდეს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) აქტიურ გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი, იმ ფასად, რომელიც შეესაბამება მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც საწარმოს კონტროლის ფარგლებს სცილდებოდა და არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ საწარმო კვლავაც მხარს უჭერს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას. გეგმის დასრულებისათვის საჭირო ღონისძიებები იმის დასტურს უნდა იძლეოდეს, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის.

თუ საწარმოს გაყიდვის გეგმა ითვალისწინებს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას, მან შვილობილი საწარმოს ყველა აქტივსა და ვალდებულებას უნდა მიანიჭოს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაცია, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება გამსვლელი ჯგუფის კრიტერიუმები, იმის მიუხედავად, საწარმო შეინარჩუნებს თუ არა არამაკონტროლებელ წილს ყოფილ შვილობილ საწარმოში გაყიდვის შემდეგ.

თუ გასაყიდად გამიზნული აქტივი/გამსვლელი ჯგუფის კრიტერიუმები დაკმაყოფილდა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს არ უნდა მოახდინოს გრძელვადიანი აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) კლასიფიცირება, როგორც გასაყიდად გამიზნული.

საწარმო გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) შეაფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

ჯგუფი გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივს ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელი ჯგუფის აქტივებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა აქტივებისაგან განცალკევებულად წარადგენს.

შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და: ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო.

ჯგუფი ხელახლა წარმოადგენს შეწყვეტილი ოპერაციების ინფორმაციას, რომლებიც მოცემული იყო წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში ისე, რომ მოიცვას საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე შეწყვეტილი ყველა ოპერაცია, რომელიც შეეხება წარდგენის უკანასკნელ პერიოდს.

3.16 საწარმოთა გაერთიანება

ჯგუფს 2023 და 2022 წელს ჰქონდა საწარმოთა გაერთიანება, რისთვისაც გამოყენებულია განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საწარმოთა გაერთიანების და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ წლების მიხედვით. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ 20-ე განმარტებით შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 მარაგების გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის აფასებს მარაგების გაუფასურებას. ჯგუფი აფასებს ნელა ბრუნვადი მარაგების შესაძლო გამოყენებადობას და შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მარაგის გაუფასურებას. გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, ტექნოლოგიურ სიახლეებს, წარსულ გამოცდილებას პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.4 ფინანსური ვალდებულებების შეფასება საწყისი აღიარებისას

სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების დანახარჯები. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდის გამოყენებით. სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის (რომლის ემიტენტს არ წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტი) დისკონტის განაკვეთის განსაზღვრა წარმოადგენს მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას და განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ მსგავსი მახასიათებლების მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომი დაკვირვებადი ინფორმაციის გამოყენებით.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, უცხოური ვალუტის რისკი, ლიკვიდურობის რისკი. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, ვალდებულებებს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებს.

	2024	2023
გაცემული სესხი	1,148	1,874
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,682	511
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,660	2,502
ფინანსური აქტივები გამსვლელ ჯგუფში	-	54,735
სულ ფინანსური აქტივები	4,490	59,622
	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,345	1,600
სესხები	16,997	61,579
ფინანსური ვალდებულებები გამსვლელ ჯგუფში	-	312,806
სულ ფინანსური ვალდებულებები	19,342	375,985

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხების, ობლიგაციების და გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებების მეორე დონის მიხედვით შეფასებული და პროცენტის მატარებელი სხვა ფინანსური ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი ვალუტების მიხედვით მერყეობს 9%-დან 14%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს დოლარში დენომინირებული იჯარებისთვის 9%-11%, ხოლო ლარში დენომინირებული იჯარებისთვის 12%-14%. რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

გაცემული სესხების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 10%-დან 14%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას და შეესაბამება მესამე დონეს. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

	2024		2023	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
გაცემული სესხი	-	-	550	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	743	4	1,400	1
ფინანსური აქტივები გამსვლელ ჯგუფში	-	-	4,228	1,632
სულ ფინანსური აქტივები	743	4	6,178	1,633
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	259	41	188	131
სესხები	15,737	-	59,983	-
ფინანსური ვალდებულებები გამსვლელ ჯგუფში	-	-	90,300	36,861
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,996	41	150,471	36,992
წმინდა ფინანსური პოზიცია	(15,253)	(37)	(144,293)	(35,359)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2024	(3,051)	3,051	(7)	7
მოგება/(ზარალი) 2023 გამსვლელი ჯგუფის გარეშე	(11,644)	11,644	(26)	26
მოგება/(ზარალი) დაკავშირებული გამსვლელ ჯგუფთან 2023	(17,215)	17,215	(7,046)	7,046

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დენომინირებულია დოლარში. (2023: ობლიგაციები დენომინირებულია ლარში და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში, დოლარში და ევროში).

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას.

	2024		2023	
	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი) გამსვლელი ჯგუფის გარეშე	(119)	119	(50)	50
მოგება/(ზარალი) დაკავშირებული გამსვლელ ჯგუფთან	-	-	(860)	860

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. საინვესტიციო ბაზრების სწრაფად ცვლილების შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის ცვლილებასა და სხვა დამცავ ქმედებებს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს ჯგუფის ვალდებულებებზე. ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად, ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფს საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2024	2023
გაცემული სესხი	1,148	1,874
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,682	511
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,650	2,495
ფინანსური აქტივები გამსვლელ ჯგუფში	-	53,523
სულ	4,480	58,403

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ჯგუფის ფულადი საშუალებები განთავსებულია ბანკებში, რომელთა საკრედიტო რეიტინგი Moody's მიხედვით არანაკლებ "Ba2" არის. აღნიშნული რეიტინგები მიუთითებენ, რომ საკრედიტო რისკი დაბალია, თუმცა ჯგუფის პოლიტიკა უზრუნველყოფს რისკის კონტროლს და ფულადი სახსრების კონცენტრაციის მართვას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,345	-	-	2,345
სესხები	8,966	12,460	-	21,426
სულ ფინანსური ვალდებულებები 2024	11,311	12,460	-	23,771
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,600	-	-	1,600
სესხები	57,976	9,650	-	67,626
ფინანსური ვალდებულებები გამსვლელ ჯგუფში	179,063	121,856	103,465	404,384
სულ ფინანსური ვალდებულებები 2023	238,639	131,506	103,465	473,610

ლიკვიდურობის ანალიზში ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებულ სესხებზე გადასახდელი მომავალი დაუდისკონტირებელი ფულადი ნაკადები მოცემულია იმ დაშვებით, რომ სესხის გამცემი არ გამოიყენებს სესხის სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვის უფლებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური შეზღუდვების დარღვევის გამო.

6. ამონაგები

ცხრილი გვიჩვენებს ამონაგებს სახეობების მიხედვით.

	2024	2023
ამონაგები ბეტონს და სხვა ბეტონ პროდუქტების რეალიზაციიდან	51,760	59,285
სხვა შემოსავალი მომსახურებიდან	2,517	2,172
სულ	54,277	61,457

შეწყვეტილი ოპერაციების ეფექტი გარეშე 2024 წლის ამონაგების 70%-ს შეადგენს ბეტონის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები (2023: 63%).

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ამონაგებს, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას:

	2024	2023
1 იანვარი	909	6,413
ავანსების აღიარების შეწყვეტა ხანდაზმულობის გამო *	-	(5,142)
აღიარებული შემოსავალი გადასახადის გარეშე	(674)	(1,022)
აღიარებულ შემოსავალთან დაკავშირებული გადასახადი	(121)	(184)
მიღებული ავანსი, გადასახადის ჩათვლით	422	844
31 დეკემბერი	536	909

შესასრულებელი ვალდებულება ისეთი ხელშეკრულების ნაწილია, რომლის თავდაპირველი მოსალოდნელი ვადა არ აღემატება ერთ წელს. IFRS 15-ის პრაქტიკული შედავითის გამოყენებით, ჯგუფი არ განმარტავს ამ ვალდებულებების შესრულების პერიოდს მომავალი ფინანსური პერიოდების მიხედვით. ჯგუფი მოელის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას მომდევნო საანგარიშგებო წელს.

(*) ჯგუფმა 2023 წელს შეწყვიტა სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხანდაზმულობის გამო. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებას შემადგენელი კომპონენტების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:

	2024	2023
ნედლეულის ღირებულება	(31,179)	(35,852)
სახელფასო ხარჯი	(5,633)	(4,963)
ზედნაღები ხარჯების გადანაწილება მზა პროდუქციაზე	(3,513)	(4,241)
შესყიდული მომსახურების ხარჯი	(2,813)	(2,736)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,008)	(1,039)
სულ	(44,146)	(48,831)

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასი	(2,420)	(1,465)
პროფესიული მომსახურება	(478)	(418)
სატრანსპორტო ხარჯი	(278)	(257)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(196)	(136)
ცვეთა და ამორტიზაცია	(130)	(62)
დაზღვევის ხარჯი	(105)	(139)
დაცვის ხარჯი	(77)	(65)
მივლინების ხარჯი	(75)	(26)
კომუნალური ხარჯი	(60)	(67)
სხვა ხარჯები	(585)	(409)
სულ	(4,404)	(3,044)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯი შეადგენს 60 ათას ლარს (2023: 252 ათასი ლარი).

9. სხვა შემოსავალი

	2024	2023
მოგება სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტიდან	-	5,142
საიჯარო შემოსავალი	127	54
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	183	26
მარაგების გაუფასურება	(7)	(68)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	106	139
სულ	409	5,293

10. წმინდა ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ვალდებულებებზე შვილობილში წილის ზრდიდან	(3,384)	(1,595)
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	(1,153)	(1,516)
საპროცენტო ხარჯი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან ვალდებულებაზე	(17)	(63)
საპროცენტო შემოსავალი შვილობილების გასვლიდან წარმოქმნილ მოთხოვნაზე	4,221	-
საპროცენტო შემოსავალი	189	211
ზარალი გაცემული სესხების რესტრუქტურულიდან გაუფასურების აღდგენის გამოკლებით	(363)	(185)
ფინანსური გარანტიის მომსახურების ხარჯი	-	(999)
ფაქტორინგის მომსახურების ხარჯი	-	(7)
	(507)	(4,154)
განსაკუთრებულ აქტივზე კაპიტალიზებული სესხის პროცენტი	27	199
სულ	(480)	(3,955)

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები, აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	საიჯარო ქონების რემონტი	სულ
31.12.2022	4,341	26,584	189,069	20,779	6,267	3,386	26,044	276,470
შემოსვლა	-	11	288	224	87	101	-	711
შემოსვლა გამსვლელ	-	-	-	-	-	-	-	-
ჯგუფში	-	1,673	8,945	4,650	1,051	35	5,160	21,514
გასვლა	-	-	(646)	(506)	(48)	-	(422)	(1,622)
სესხის დანახარჯები	-	-	-	-	-	81	-	81
გადასვლა საინვესტიციო	(27)	-	-	-	-	(506)	-	(533)
შიდა გადატანა	-	839	-	-	-	(839)	-	-
გამსვლელ ჯგუფად კლასიფიცირება	(203)	(20,945)	(181,162)	(15,380)	(6,820)	(2,258)	(30,782)	(257,550)
31.12.2023	4,111	8,162	16,494	9,767	537	-	-	39,071
შემოსვლა	-	6	466	1,425	48	169	-	2,114
გასვლა	-	(62)	(2,817)	(1,090)	(108)	-	-	(4,077)
შიდა გადატანა	-	(20)	162	-	-	(142)	-	-
31.12.2024	4,111	8,086	14,305	10,102	477	27	-	37,108
დაგროვილი ცვეთა								
31.12.2022	-	(11,096)	(118,752)	(16,026)	(1,701)	-	(167)	(147,742)
ცვეთა	-	(377)	(395)	(211)	(31)	-	-	(1,014)
გამსვლელი ჯგუფის ცვეთა	-	(865)	(15,945)	(1,594)	(1,712)	-	(3,446)	(23,562)
გასვლა	-	-	443	517	15	-	269	1,244
გამსვლელ ჯგუფად კლასიფიცირება	-	7,633	119,852	8,375	3,012	-	3,344	142,216
31.12.2023	-	(4,705)	(14,797)	(8,939)	(417)	-	-	(28,858)
ცვეთა	-	(342)	(399)	(249)	(33)	-	-	(1,023)
გასვლა	-	62	2,817	1,090	108	-	-	4,077
შიდა გადატანა	-	154	(154)	-	-	-	-	-
31.12.2024	-	(4,831)	(12,533)	(8,098)	(342)	-	-	(25,804)
საბალანსო ღირებულება								
31.12.2023	4,111	3,457	1,697	828	120	-	-	10,213
31.12.2024	4,111	3,255	1,772	2,004	135	27	-	11,304

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების უზრუნველყოფას (2023: გამსვლელი ჯგუფის ჩათვლით საბალანსო ღირებულებით 124,153 ათასი ლარი). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 12.

12. საინვესტიციო ქონება

ხელმძღვანელობამ 2023 წლის პერიოდში შეცვალა მშენებარე შენობის სამომავლო მიზნობრიობა და გადაწყვიტა მისი გამოყენება სამომავლო გაქირავების მიზნით, როგორც სამაცივრე საწყობი. მიზნობრიობის ცვლილების საფუძველზე შეიცვალა შენობა და შესაბამისი მიწის კლასიფიკაცია და წარდგა, როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება ექსპლუატაციაში შევიდა 2024 წელს.

საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული საიჯარო ხელშეკრულებები არის ფიქსირებულ ფასიანი და მოიცავს შეწყვეტის უფლებას მხარეთა წინასწარი შეტყობინებით. იჯარის ობიექტთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის ჯგუფი იყენებს მოკლევადიან ხელშეკრულებებს, მხარეთა შეთანხმებით გაგრძელების უფლებით. რისკის სამართავად ჯგუფი იტოვებს წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შეწყვეტის უფლებას. საიჯარო შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს საინვესტიციო ქონების ცვეთას და საინვესტიციო ქონების საფუძველზე აღიარებულ ქონების გადასახადს, (შენობების საშუალო საბალანსო ღირებულების 1%).

საინვესტიციო ქონების მესამე დონის მიხედვით განსზღვრული სამართლიანი ღირებულება, რომელიც შეფასებულია ჩანაცვლების მეთოდით, უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონება სრულად წარმოადგენს აღებული სესხების უზრუნველყოფას.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

12. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ
31.12.2022	-	-	-
გადმოსვლა ძირითადი საშუალებებიდან	27	506	533
შემოსვლა	-	183	183
სესხის დანახარჯები	-	118	118
31.12.2023	27	807	834
შემოსვლა	-	107	107
სესხის დანახარჯები	-	27	27
31.12.2024	27	941	968
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2023	-	-	-
ცვეთა	-	(53)	(53)
31.12.2024	-	(53)	(53)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2023	27	807	834
31.12.2024	27	888	915

13. მარაგები

	2024	2023
ნედლეული და შესაფუთი მასალები	2,529	2,243
მზა პროდუქცია	2,922	1,455
დაუმთავრებელი წარმოება	428	423
დასაბრუნებელი აქტივები	246	211
სხვა მარაგები	935	828
სულ	7,060	5,160

მარაგები წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

ჯგუფი აფასებს ნელა ბრუნვადი მარაგების შესაძლო გამოყენებადობას და შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მარაგის გაუფასურებას. ჯგუფის მარაგები მოიცავს სრულად გაუფასურებულ მარაგებს, რომლის თვითღირებულება გაუფასურებამდე შეადგენს 880 ათას ლარს (2023: 887 ათასი ლარი).

14. გაცემული სესხები

	2024	2023
გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებზე	1,148	2,183
გაუფასურების რეზერვი	-	(309)
	1,148	1,874

ცხრილი გვიჩვენებს გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2024	2023
ბალანსი წლის დასაწყისში	(309)	(309)
გაცემული სესხების ჩამოწრა	16	-
გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღდგენა	293	-
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(309)

ჯგუფს აქვს გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე, რომელიც დენომინირებულია ლარში (2023: ლარში და დოლარში). ლარში ნომინირებული სესხები წარმოადგენს უპროცენტოს (2023: დოლარში ნომინირებული სესხები პროცენტთან. გაცემული სესხები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილს.

ლარში დენომინირებული სესხი: ხელშეკრულების პირობის მიხედვით, უნდა დაფარულიყო 2024 წლის დეკემბერში. ჯგუფმა 2024 წლის დეკემბერში განაახლა სესხის ხელშეკრულების პირობები და სესხის ხელშეკრულების დასრულების თარიღად განისაზღვრა 2025 წლის დეკემბერი. გადახდის ვადის გადაცილება და ხელშეკრულების რესტრუქტურისა განსაზღვრავს სესხს დეფოლტში მყოფად ფასს 9-ის მიხედვით, რის შედეგადაც სესხი კლასიფიცირებულია Stage 3-ად. მენეჯმენტის შეფასებით, სესხის მიმღები გადახდისუნარიანია,

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

15. გაცემული სესხები (გაგრძელება)

რის საფუძველზეც დანაკარგები დეფოლტის შედეგად (LGD) უდრის ნულს. საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (EIR). მიუხედავად დეფოლტის კლასიფიკაციისა, მოსალოდნელია სრული ამოღება, თუმცა დროში გაწეილი ფულადი ნაკადების საშუალებით. სესხი აღირიცხება Level 3 აქტივად, ვინაიდან შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის პროგნოზებს და არა აქტიურ ბაზარზე არსებულ ფასებს. განსხვავება საბალანსო ღირებულებასა და ნომინალურ ნაშთს შორის წარმოიქმნება სესხის რესტრუქტურირებითა და დისკონტირებით, რაც აისახება მოგება/ზარალის ანგარიშში (შენიშვნა10). გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ დამატებითი პოლიტიკა იხილეთ შენიშვნა 3-ში.

დოლარში დენომინირებული სესხი: 2023 წელს ჯგუფმა დაკავშირებულ მხარეზე (საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ოჯახის წევრზე) გასცა დოლარში დენომინირებული სესხი წლიური 12%-ით. სესხის ძირის და პროცენტის დაფარვის ვადა არის გაცემიდან ერთი კალენდარული წელი. ჯგუფი აღნიშნული სესხის ვადაგადაცილების სტატუსს განიხილავს, როგორც სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ძირითად მაჩვენებელს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა განიხილა ქვემოთ მოცემული ფაქტორების კომბინირებული ეფექტი: ა) დებიტორის ფინანსური მდგომარეობა; / ბ) სახელშეკრულებო პირობების შესრულების ისტორია; გ) დებიტორის შემოსავლიანობა. და მიაჩნია, რომ დოლარში დენომინირებული სესხების საკრედიტო რისკი არ გაზრდილა საწყისი აღიარების შემდეგ. არაარსებითობიდან გამომდინარე ჯგუფმა არ აღიარა აღნიშნული სესხის გაუფასურების ანარიცხი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეზე გაცასცა დამატებითი სესხები. 2023 წელს გაცემული მოკლევადიანი სესხები 2024 წელს აღმოჩნდა ვადაგადაცილებული. ხელმძღვანელობის შეფასებით, თანხის დაბრუნება არ არის მოსალოდნელი. შედეგად ხელმძღვანელობამ შეწყვიტა გაცემული სესხების აღიარება. დამატებით იხილეთ შენიშვნა 21.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,998	9,050
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,316)	(8,539)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	1,682	511
სხვა გადახდილი ავანსები	333	310
წმინდა მოთხოვნები	2,015	821

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში წარდგენილი ფინანსური აქტივების ვადაგადაცილებას და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას.

	2024		2023	
	რეზერვი	მოთხოვნა გაუფასურება	მოთხოვნა გაუფასურება	
ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურებაზე				
დაკავშირებული მხარეები		1,249 (926)	1,976 (1,879)	
ჯგუფურად შეფასებული გაუფასურებაზე				
მიმდინარე	1%	1,146 (12)	321 (3)	
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	5%	173 (9)	34 (2)	
31-90 დღის ვადაგადაცილება	16%	32 (5)	42 (7)	
91-180 დღის ვადაგადაცილება	32%	42 (13)	31 (10)	
181-365 დღის ვადაგადაცილება	64%	14 (9)	22 (14)	
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%	342 (342)	6,624 (6,624)	
სულ		2,998 (1,316)	9,050 (8,539)	
გაუფასურების რეზერვი		(1,316)	(8,539)	
წმინდა მოთხოვნები		1,682	511	

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა გამსვლელი ჯგუფის ეფექტის გარეშე.

	2024	2023
ბალანსი წლის დასაწყისში	(8,539)	(8,618)
მოთხოვნების ჩამოწერა	6,332	-
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	891	79
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,316)	(8,539)

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რომ განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი საქმიანობს.

დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნების არსებითი ნაწილი წარმოადგენს 1 წელზე მეტად ვადაგადაცილებულს და დარეზერვებულია ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. 2024 წლის გაუფასურების ხარჯის აღდგენა არსებითად უკავშირდება დაკავშირებული მხარეების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	1,650	2,495
ფული სალაროში	10	7
სულ	1,660	2,502

17. სესხები

	2024	2023
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	6,254	-
სესხები სხვა მხარიდან	-	3,977
სულ გრძელვადიანი სესხები	6,254	3,977

გრძელვადიანი ნაწილი წარდგენილი როგორც მოკლევადიანი

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები

3,495 4,031

მოკლევადიანი ნაწილი

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები

2,161 988

სესხები სხვა მხარიდან

5,087 212

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები

- 380

ვალდებულებები შვილობილში წილის ზრდიდან

- 51,591

ვალდებულება ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან

- 400

სულ მოკლევადიანი ნაწილი

10,743 57,602

სულ სესხები

16,997 61,579

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას.

	2024	2023
1 იანვარი	61,579	111,156
სესხების აღება	7,445	235,913
ვალდებულებები შვილობილში წილის ზრდიდან	-	48,815
სესხის დაფარვა	(1,400)	(250,107)
ურთიერთგადასახდელი ფინანსურ აქტივებთან	(55,000)	-
საპროცენტო ხარჯი	4,554	13,820
გადახდილი პროცენტი	(767)	(11,891)
საკურსო სხვაობის გავლენა	586	1,912
ძირითად საშუალების შეძენა	-	(2,098)
გამსვლელ ჯგუფად კლასიფიცირება	-	(86,317)
31 დეკემბერი	16,997	61,203

17. სესხები (გაგრძელება)

სესხები ფინანსური ინსტიტუტიდან

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის არსებული და მომავალში შეძენილი მოძრავი და უძრავი ქონებით, მათ შორის ძირითადი საშუალებებით, მარაგებით და დებიტორული მოთხოვნებით. ჯგუფს არ შეუძლია აღნიშნული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე. აღნიშნული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის 25%-იანი წილით შპს მიქსორში. აღნიშნული სესხები არის ცვლად პროცენტისა და დომინირებულია აშშ. დოლარში. სესხების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

ჯგუფის სესხის ხელშეკრულებები ფინანსურ ინსტიტუტებთან შეიცავს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ კოვენანტებს. აღნიშნული კოვენანტები მოიცავს, მათ შორის, ვალდებულებების EBITDA-ზე შეფარდების, ვალდებულებების კაპიტალზე შეფარდების, სერვისის დაფარვის (DSCR), პროცენტის დაფარვის (ICR) და მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ვერ დააკმაყოფილა ვალდებულებების კაპიტალზე შეფარდების კოვენანტი, რომლის მაქსიმალური დაშვებული ზღვარია 2.5. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ვერ დააკმაყოფილა მიმდინარე ლიკვიდობის კოვენანტი, რომლის მინიმალური მოთხოვნა შეადგენს 1.0-ს.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, კოვენანტის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს აქვს უფლება (თუმცა არა ვალდებულება) მოითხოვოს სესხის მთლიანი ან ნაწილობრივი ნაადრევი დაფარვა. ორივე საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, გაურკვეველია, გამოიყენებს თუ არა გამსესხებელი აღნიშნულ უფლებას მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს არ აქვს უპირობო უფლება, გადავადოს აღნიშნული სესხების დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე ფინანსური ინსტიტუტს არ გამოუყენებია სესხის ვადაზე ადრე დაფარვის უფლება. ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფმა შეძლო ფინანსური შეზღუდვების დაკმაყოფილება.

ვალდებულება ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან

ჯგუფი წარმოადგენს სხვა მხარის მიერ მიღებული სესხის თავდებას. სესხების მოცულობა, რომლისთვისაც ჯგუფი წარმოადგენს თავდებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ჯამურად 400 ათას ლარს. 2024 წელს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ ვალდებულებაზე დარიცხული და ანაზღაურებული საპროცენტო ხარჯი შეადგენს 17 ათას ლარს (2023: 63 ათას ლარი). ჯგუფმა ვალდებულება დაფარვა 2024 წელს.

შვილობილში წილის ზრდიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2023 წლის აგვისტოს ბოლოს ჯგუფმა არამაკონტროლებელი წილისგან შეიძინა სს „ქართული ლუდის კომპანიის“ აქციების 36,5%, რის შედეგადაც ჯგუფმა კუთვნილი წილი გაზარდა 100%-მდე. წილის შეძენა განხორციელდა 20,442 ათას აშშ დოლარად, რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს შესყიდვიდან ერთი წლის შემდეგ (2024 წლის სექტემბერში). შვილობილში წილის ზრდიდან წარმოქმნილი ვალდებულების საწყისი აღიარება, მესამე დონის მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, რომელიც შეადგენს 48,815 ათას ლარს (18,583 ათასი აშშ დოლარი), ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას, შეფასებითი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2024 წლის სექტემბერში სამმხრივი შეთანხმებით სრულად დაიფარა სს „ქართული ლუდის კომპანიის“ 36.5%-იანი წილის შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება. იხილეთ შენიშვნა 21.

სესხები სხვა მხარიდან: 2023 წელს ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხი ჩანაცვლდა სხვა მხარის სესხით. სხვა მხარიდან მიღებული სესხის პირობების ცვლილების შედეგად სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 31 დეკემბერი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მხარის მიმართ სესხებში წარდგენილია ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ არსებული სესხის დავალიანება 380 ათასი ლარი.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,202	1,489
გადასახდელი ხელფასები	143	111
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,345	1,600
საგადასახადო ვალდებულებები	706	293
სახელშეკრულებო ვალდებულება	536	909
სულ არაფინანსური ვალდებულებები	1,242	1,202
სულ	3,587	2,802

19. არამაკონტროლებელი წილი, გამსვლელი ჯგუფი და შეწყვეტილი ოპერაციები

2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, არამაკონტროლებელი წილი შვილობილ კომპანიებში მოიცავდა სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ და შპს „რითეილ ჯგუფში“ არსებულ წილს. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არამაკონტროლებელი წილი მხოლოდ შპს „რითეილ ჯგუფში“ ფლობდა წილს. არამაკონტროლებელი წილისთვის მიკუთვნებული სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ 2023 წლის შედეგი მოიცავს წილის დათმობამდე პერიოდს, ხოლო 2024 წლის შედეგები - კონტროლის დაკარგვამდე მიღებულ პერიოდს.

2023 წლის აგვისტოში ჯგუფმა შეიძინა სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ 36,5%-იანი წილი, რაც ჯგუფის კუთვნილ წილს 100%-მდე ზრდიდა. შეძენა განხორციელდა 20,442 ათას აშშ დოლარად, გადახდა 2024 წლის სექტემბერში იყო დაგეგმილი. წილის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება საწყისად შეფასდა სამართლიანი ღირებულებით 48,815 ათას ლარად (18,583 ათასი აშშ დოლარი), რაც ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას.

2023 წლის სექტემბრამდე სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ არსებული 36,5%-იანი არამაკონტროლებელი წილი დაყოფილი იყო შემდეგნაირად: შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ 24,11% და შპს „პსპ ფარმა“ 12,39%.

2024 წელს, შვილობილებზე კონტროლის დაკარგვამდე, შპს „რითეილ ჯგუფის“ 43,33%-იანი არამაკონტროლებელი წილი დაყოფილი იყო: შპს „ქისტოუნს ინვესტმენტსი“ 30% და შპს „გუდ ფროდაქტსი“ 13,33%. სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ ჯგუფის ეფექტური წილი (მონაწილეობა შპს „რითეილ ჯგუფის“ წმინდა აქტივებში) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 56,67%, ხოლო 2023 წლის აგვისტოში - 39,62%.

2023 წლის დეკემბერში ჯგუფის ბენეფიციარი მაკონტროლებელი მფლობელების გადაწყვეტილებით კომპანიაში გამოაცხადა მისი დირექტორების გადაწყვეტილება, რეორგანიზაციის შედეგად გაეყიდათ სს ქართული ლუდის კომპანიაში და შპს რითეილ ინვესტმენტში (შესაბამისად შპს რითეილ ჯგუფში) კუთვნილი წილები სრულად. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბერს სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ და შპს „რითეილ ჯგუფის“ ბალანსზე არსებული აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც გამსვლელი ჯგუფი და როგორც შეწყვეტილი ოპერაცია. ხელმძღვანელობის შეფასებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამსვლელი ჯგუფის საბალანსო ღირებულება არ ჩამორჩებოდა მის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას.

წილების გასხვისება განხორციელდა 2024 წლის თებერვალში 2024 წლის იანვარში დაარსებულ კომპანიაზე შპს ჩოჩელი ინვესტმენტ გრუპზე. შპს ჩოჩელი ინვესტმენტ გრუპის საბოლოო მაკონტროლებელი მფლობელები შვილობილი კომპანიების გასხვისების მომენტში იყვნენ იგივე პირები, ვინც ფლობს კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ოპერაციის შედეგად, გადაცემული შვილობილი კომპანიების საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირები არ შეცვლილა. ნასყიდობის ჯამური ღირებულება შეადგენდა 25,192 ათას აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, საიდანაც 20,422 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადასახდელი იყო 2024 წლის სექტემბერში, ხოლო 4,750 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადასახდელი იყო 2026 წლის ივლისში. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ინვესტიციების გაყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნის ნაწილი ურთიერთშეთანხმებულ არამაკონტროლებელი წილების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ამორტიზებულ ღირებულებასთან (შენიშვნა 17), ხოლო დარჩენილი ნაწილი სრულად იქნა მიღებული 2024 წლის განმავლობაში. გამომდინარე იქიდან, რომ ოპერაცია განხორციელდა მაკონტროლებელი მფლობელების გადაწყვეტილებით, რის შედეგადაც არ შეცვლილა გასული შვილობილი კომპანიების საბოლოო მაკონტროლებელი მფლობელები, სხვაობა გასული აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას და მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის სრულად აღიარდება პირდაპირ კაპიტალში, როგორც მფლობელების გადაწყვეტილებით განხორციელებული ოპერაციის ეფექტი და ჯამურად შეადგინა კაპიტალის შემცირებას 19,422 ათასი ლარი.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

20. არამაკონტროლებელი წილი, გამსვლელი ჯგუფი და შეწყვეტილი ოპერაციები (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ და შპს რითეილ ჯგუფის შემაჯამებელ კონსოლიდირებულ ფინანსური ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში კონტროლის დაკარგვამდე და შესადარის პერიოდში სრულ პერიოდზე.

	ქართული ლუდის კომპანია		შპს რითეილ ჯგუფი		შეწყვეტილი ოპერაციები	
	2024	2023	2024	2023	2024	2023
ამონაგები	21,129	113,572	99,835	569,758	117,716	680,454
პროდუქციის თვითღირებულება	(12,817)	(72,040)	(80,681)	(465,122)	(90,635)	(534,523)
საერთო მოგება	8,312	41,532	19,154	104,636	27,081	145,931
კომერციული ხარჯები	(3,559)	(15,117)	(14,794)	(87,274)	(18,353)	(102,391)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	(2,441)	(15,335)	(1,708)	(7,918)	(4,149)	(23,253)
ფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა/(ხარჯი)	(206)	(1,017)	56	(62)	(150)	(1,079)
წმინდა სხვა შემოსავალი	(96)	155	(36)	1,911	(132)	2,066
საოპერაციო მოგება	2,010	10,218	2,672	11,293	4,297	21,274
წმინდა ფინანსური ხარჯი	(1,465)	(8,265)	(1,665)	(9,210)	(3,130)	(17,475)
წმინდა მოგება საკუთროს სხვაობიდან	435	(1,247)	(948)	296	(513)	(951)
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი	28	1,131	-	-	-	-
წმინდა მოგება	1,008	1,837	59	2,379	654	2,848
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-
სრული შემოსავალი	1,008	1,837	59	2,379	654	2,848
					-	-
წმინდა მოგება მიკუთვნებული:						
მშობელი საწარმოს მფლობელებს	1,008	1,390	33	1,077	628	1,374
არამაკონტროლებელ წილს	-	447	26	1,302	26	1,474
წმინდა მოგება	1,008	1,837	59	2,379	654	2,848
სრული შემოსავალი მიკუთვნებული:						
მშობელი საწარმოს მფლობელებს	1,008	1,390	33	1,077	628	1,374
არამაკონტროლებელ წილს	-	447	26	1,302	26	1,474
სრული შემოსავალი	1,008	1,837	59	2,379	654	2,848

სხვაობა შეწყვეტილ ოპერაციებსა და კომპონენტების ჯამურ ფინანსურ შედეგებს შორის წარმოადგენს კონსოლიდაციის ელიმინირებას.

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ და შპს რითეილ ჯგუფის შემაჯამებელ ინფორმაციას ფულადი ნაკადების შესახებ საანგარიშგებო პერიოდში კონტროლის დაკარგვამდე და შესადარის პერიოდში სრულ პერიოდზე.

	ქართული ლუდის კომპანია		შპს რითეილ ჯგუფი		შეწყვეტილი ოპერაციები	
	2024	2023	2024	2023	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა	1,557	16,394	7,384	36,741	8,941	53,135
საინვესტიციო საქმიანობა	(1,535)	(7,472)	(5,597)	(9,607)	(7,132)	(17,079)
საფინანსო საქმიანობა	(203)	(6,037)	(4,042)	(10,085)	(4,245)	(16,122)
წმინდა ზრდა/(შემცირება)	(181)	2,885	(2,255)	17,049	(2,436)	19,934

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

20. არამაკონტროლებელი წილი, გამსვლელი ჯგუფი და შეწყვეტილი ოპერაციები (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ და შპს რითეილ ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციას აქტივების და ვალდებულებების შესახებ 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის წარმოადგენს გამსვლელ ჯგუფს.

	ქართული ლუდის კომპანია	შპს რითეილ ჯგუფი	კონსოლიდაციის შესწორება	გამსვლელი ჯგუფი
	2023	2023	2023	2023
აქტივები				
გუდვილი	11,668	-	32,841	44,509
ძირითადი საშუალებები	62,039	53,295	-	115,334
აქტივების გამოყენების უფლება	-	103,788	-	103,788
არამატერიალური აქტივები	386	644	-	1,030
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	23,601	-	(23,601)	-
მარაგები	26,584	54,261	(237)	80,608
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,268	12,826	(3,366)	32,728
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,017	21,926	-	25,943
სულ აქტივები	151,563	246,740	5,637	403,940
ვალდებულებები				
სესხები	64,186	22,131	-	86,317
საიჯარო ვალდებულებები	-	107,605	-	107,605
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,207	110,440	(1,726)	125,921
სულ ვალდებულებები	81,393	240,176	(1,726)	319,843

ცხრილი გვიჩვენებს შვილობილების გასვლის შედეგს.

	2024
კომპენსაცია მიღებული ფული და ფულის ეკვივალენტებით	12,273
კომპენსაციის არაფულადი ნაწილი	50,562
სულ კომპენსაცია	62,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	(23,507)
წმინდა აქტივები გარდა ფული და ფულის ეკვივალენტისა	(61,620)
სულ გადაცემული აქტივები	(85,127)
არა-მაკონტროლებელი წილის გასვლა	2,870
დამფუძნებელთან ოპერაციის ეფექტი	(19,422)

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

20. საწარმოთა გაერთიანება

ჯგუფს 2023 და 2022 წელს ჰქონდა საწარმოთა გაერთიანება, რისთვისაც გამოყენებულია განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა. აქედან გამომდინარე ჯგუფი განმარტავს 2022 წლის საწარმოთა გაერთიანებას, რადგან ფასს-ებთან შეუსაბამო სააღრიცხვო პოლიტიკის ეფექტი ვრცელდება მიმდინარე და შესადარის საანგარიშგებო პერიოდზე. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საწარმოთა გაერთიანების და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ წლების მიხედვით.

საწარმოთა გაერთიანება 2023 წელს:

ჯგუფმა 2023 წელს შეიძინა მისი ლუდის და სხვა არაალკოჰოლური პროდუქციის ძირითადი და მსხვილი მომხმარებელი – Zedazeni 2012 LLC, სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ლუდის კომპანიის ადგილობრივი გაყიდვების დაახლოებით 85%-ს. ცხრილი გვიჩვენებს საწარმოთა გაერთიანების ანაზღაურების ღირებულების და გუდვილის გაანგარიშებას.

	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,926
ძირითადი საშუალებები	3,107
აქტივების გამოყენების უფლება	565
მარაგები	3,628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,743
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(39,932)
სხვა ვალდებულებები	(700)
წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	(11,663)

გადახდილი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება

ფული და ფულის ეკვივალენტები

გუდვილი

5
11,668

ჯგუფმა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები შეაფასა სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო ანალოგების და ჩანაცვლების მეთოდით.

გუდვილი ყოველწლიურად იტესტება გაუფასურებაზე. გაუფასურების დანაკლისი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებად ღირებულება დადგენილია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. ეს გამოთვლები ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტს ხუთწლიანი პერიოდისთვის. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ხუთწლიანი პერიოდის ზრდის ბიუჯეტირებული მაჩვენებელი და საოპერაციო მოგება წარსული შესრულებისა და ბაზრის მოლოდინების მიხედვით. ფულადი ნაკადები ხუთწლიანი პერიოდისთვის პროგნოზირებულია მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებლების გამოყენებით, რომლებიც არ აღემატება ბიზნეს სექტორის გრძელვადიანი საშუალო ზრდის მაჩვენებელს, რომელშიც ოპერირებს შეძენილი საწარმო. WACC-ის (კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება), რომელიც გამოიყენება გაუფასურების ტესტში, შეადგენს წლიურ 14.54%-ს, რაც ასახავს განვითარებადი ქვეყნების კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას. WACC-ის შეფასება ასახავს შეძენილი საწარმოს დაფინანსებასთან დაკავშირებულ რისკებს, როგორც ნასესხები ასევე საკუთარი სახსრებისთვის. საკუთარი სახსრებით დაფინანსების რისკები გამომდინარეობს კაპიტალის ბაზრის მახასიათებლებიდან, ხოლო ნასესხები სახსრებით დაფინანსების რისკები შეძენილი საწარმოს მახასიათებლებიდან.

კაპიტალის ღირებულების გამოთვლა ხორციელდება CAPM მოდელის საფუძველზე (კაპიტალის აქტივების ფასის ფორმირების მოდელი). ამ მოდელში კაპიტალში ჩადებული თანხის მოგების მაჩვენებლის თანაფარდობა ეფუძნება შემდეგი კომპონენტების ანალიზს:

- რისკისგან თავისუფალი განაკვეთი;
- ბეტა ; ბაზრის რისკის პრემია და მცირე კომპანიასთან დაკავშირებული დამატებითი რისკის პრემია
- ქვეყნის რისკი და კომპანიის სპეციფიკური რისკის პრემია .

გაუფასურების ტესტის შედეგად 2023 წელს საწარმოთა გაერთიანებიდან წარმოქმნილი გუდვილის გაუფასურება არ იდენტიფიცირებულა.

22. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანება 2022 წელს

2022 წლის 13 დეკემბერს შპს მიქსორმა შეიძინა შპს რითეილ ინვესტმენტის 100%-იანი წილი, რომელიც ფლობდა შპს რითეილ ჯგუფის 9.96%-იან წილს. ამავდროულად, სს ქართული ლუდის შვილობილმა კომპანიამ შპს ჯიბისი ინვესტმა შეიძინა შპს ჩოჩელი ჯგუფის 100%-იანი წილი, რომელიც შპს დოლნეი ქენსალთენსის 100%-იან წილის გავლით ფლობდა შპს რითეილ ჯგუფის 26.67%-იან წილს (სუპერმარკეტების ქსელი მაგნიტი). ოპერაციის შედეგად ჯგუფმა მოიპოვა შპს რითეილ ჯგუფის აქციონერთა ხმების 56.67% და კონტროლი აღნიშნულ კომპანიაზე. შპს მიქსორის მიერ შპს რითეილ ჯგუფის კონტროლის სტრუქტურის შესახებ იხილეთ შენიშვნა 1.

საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2022 წლის დეკემბერში ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოზე კონტროლის მოპოვება წარმოადგენს ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებას. ჯგუფმა ეტაპობრივად განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვისთვის გამოიყენა საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი, რადგან ვერ შეძლო ამ შვილობილი კომპანიის ზოგიერთი არსებითი აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულებების დადგენა შეძენის თარიღისთვის. ჯგუფმა ვერ შეძლო ისეთი აქტივების ან/და ვალდებულებების იდენტიფიცირება, რომელიც არ იყო აღიარებული შეძენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შეძენის თარიღისთვის, მაგრამ ექვემდებარება აღიარებას ფასს 3 საწარმოთა გაერთიანებით.

საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, საწარმოთა გაერთიანების შედეგად შემოსული იდენტიფიცირებული აქტივების და ვალდებულებების საწყისი აღიარება განხორციელდა შეძენილი საწარმოს საბალანსო ღირებულებით და არა ფასს 3 საწარმოთა გაერთიანების მოთხოვნის შესაბამისად.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში ჯგუფმა მისი ადრინდელი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში არ გადააფასა შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ სამართლიან ღირებულებამდე. ბასს 28-ის (ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში) მიხედვით წილობრივი მეთოდით აღრიცხული ადრინდელი სააქციო წილის საბალანსო ღირებულება შეძენის თარიღისთვის განიხილა, როგორც საწარმოთა გაერთიანებისთვის ანაზღაურების კომპონენტი.

საწარმოთა გაერთიანებისთვის გადახდილი კომპენსაცია: შპს რითეილ ჯგუფზე კონტროლის მოპოვების მიზნით ჯგუფმა გადაიხადა 31,240 ათასი ლარი, აიღო ვალდებულება შპს რითეილ ჯგუფის საწესდებო კაპიტალის შევსებაზე ჯამური თანხით 1,264 ათასი ლარი და შეწყვიტა მეკავშირე საწარმოს აღიარება. ჯგუფმა მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულება შეძენის თარიღისთვის გამოიყენა, როგორც საწარმოთა გაერთიანების კომპენსაციის კომპონენტი.

არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში: გაანგარიშებულია შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში პროპორციული წილით;

გუდვილის საწყისი აღიარება: ჯგუფმა აღიარა გუდვილი, შეძენის თარიღისთვის შეფასებული, როგორც (ა)-ს ნამეტო (ბ)-ზე.

ა) ჯამური მაჩვენებელი შემდეგი სიდიდეების:

- (i) შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად შეფასებული გადაცემული კომპენსაცია;
- (ii) არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, რომელიც გაანგარიშებულია შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში პროპორციული წილით;
- (iii) და ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში ჯგუფის ადრე კუთვნილი სააქციო წილის საბალანსო ღირებულება, შეძენის თარიღისთვის;

ბ) საწარმოთა გაერთიანების შედეგად შემოსული იდენტიფიცირებული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეძენილ საწარმოში შეძენის თარიღისთვის.

ჯგუფი ვალდებულია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩაატაროს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჩაუტარებია მოცემული საწარმოთა გაერთიანებიდან წარმოქმნილი გუდვილის ტესტირება გაუფასურებაზე.

გადახვევა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან

საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეესაბამება ფასს 3 საწარმოთა გაერთიანების მოთხოვნებს. ფასს 3 საწარმოთა გაერთიანების მოთხოვნის შესაბამისად ჯგუფმა საწარმოთა თითოეული გაერთიანება, გარდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

21. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

გაერთიანებისა, უნდა ასახოს შეძენის მეთოდით, რომელიც გულისხმობს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და აღებული ვალდებულებების შეფასებას სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის ფასს 3-ით განსაზღვრული აღიარების ან შეფასების პრინციპებში გამონაკლისების გარდა. ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში ჯგუფმა მისი ადრინდელი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში უნდა გადააფასოს შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ სამართლიან ღირებულებამდე და მიღებული შემოსულობა ან ზარალი (თუ ასეთი არსებობს) აღიაროს მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საჭიროებისამებრ. ადრინდელი სააქციო წილის სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისთვის განიხილება, როგორც საწარმოთა გაერთიანებისთვის გაწეული ანაზღაურების კომპონენტი.

შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება
აქტივები	
ძირითადი საშუალებები	55,227
აქტივების გამოყენების უფლება	87,764
არამატერიალური აქტივები	652
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	108
მარაგები	42,588
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,636
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,877
სულ აქტივები	197,852
ვალდებულებები	
სესხები	23,710
საიჯარო ვალდებულებები	88,268
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	81,689
სულ ვალდებულებები	193,667
წმინდა აქტივების ღირებულება	4,185
ცხრილი გვიჩვენებს საწარმოთა გაერთიანების ანაზღაურების ღირებულების და გუდვილის გაანგარიშებას.	
გადახდილი კომპენსაციის ღირებულება	ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	31,240
ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	1,264
მეკავშირე საწარმოში ფლობილი წილის საბალანსო ღირებულება შეძენის დღეს	1,995
სულ გადახდილი კომპენსაცია	34,499
წმინდა აქტივების ღირებულება	(4,185)
არამაკონტროლებელი წილი (შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში პროპორციული წილით)	2,527
გუდვილი	32,841

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მეკავშირე საწარმოს საწარმოთა გაერთიანებამდე, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, ოჯახის ახლო წევრებს და კომპანიებს სადაც მაკონტროლებელი მხარეს ან მისი ოჯახის ახლო წევრს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა. დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, განიხილება თავად ურთიერთობის ხასიათი და არა მარტო მისი იურიდიულ ფორმა. ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული და არ არის განმარტებული. ცხრილი გვიჩვენებს ოპერაციებს და ნაშთებს დაკავშირებულ მხარეებთან (მათ შორის შეწყვეტილი ოპერაციების და გამსვლელი ჯგუფის ჩათვლით).

	2024 სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	2023 სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
ნაშთები				
სავაჭრო მოთხოვნები	1,249	-	3,148	3,148
გაცემული სესხები	1,148	-	2,183	2,183
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(926)	-	(2,188)	(2,188)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,471	-	3,143	3,143
სავაჭრო ვალდებულებები	447	653	173	826
სესხები	-	-	-	-
ოპერაციები				
ამონაგები	82	-	-	-
მიღებული ფასდაკლება	-	-	5,571	5,571
სხვა შემოსავალი	127	-	-	-
კომუნალური ხარჯები *	-	-	1,011	1,011
მარაგების შესყიდვა	1,404	-	1,417	1,417
საპროცენტო შემოსავალი შვილობილების				
გასვლიდან წარმოქმნილ მოთხოვნაზე	4,221	-	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	(176)	-	(185)	(185)

(*) კომუნალური ხარჯები შედგენილია არამაკონტროლებელი წილის მფლობელიდან და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩაირთვება წარმოებული მარაგების თვითღირებულებაში და მათი ჩამოწერისას რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯში.

ცხრილი გვიჩვენებს უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებას.

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:	(1,929)	(4,578)
შრომის ანაზღაურება - წარდგენილი განგრძობითი ოპერაციებში	(1,319)	(502)
შრომის ანაზღაურება - წარდგენილი შეწყვეტილ ოპერაციებში	(610)	(4,076)

შვილობილების გაყიდვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიაზე

2024 წლის თებერვალში ჯგუფმა გაყიდა ინვესტიციები სს ქართული ლუდის კომპანიაში და შპს რითეილ ინვესტმენტსში. ოპერაციის შედეგად, გადაცემული შვილობილი კომპანიების საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირები არ შეცვლილა. შვილობილების გასვლის ეფექტი ჯგუფმა აღიარა პირდაპირ კაპიტალში, როგორც მფლობელების გადაწყვეტილებით განხორციელებული ოპერაციის ეფექტი და ჯამურად შეადგენა კაპიტალის შემცირებას 19,422 ათასი ლარი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

დაკავშირებულ მხარეზე სესხის გაცემა

2023 და 2024 წელს საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა გასცა 1 წლიანი სესხები მფლობელების ოჯახის ახლო წევრზე. 2023 წელს გაცემული სესხები აღმოჩნდა ვადაგადაცილებული, და 2024 წლის ბოლოს ხელმძღვანელობის შეფასებით, თანხის დაბრუნება არ არის მოსალოდნელი. ხელმძღვანელობის გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები: სესხების გაცემისას არ არსებობდა დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა; არ განხორციელდა ეფექტური ზომები თანხის ამოსაღებად, მათ შორის სამართლებრივი ქმედებები; და მიიჩნია, რომ სესხების ეკონომიკური შინაარსი წარმოადგენს მფლობელების ოჯახის წევრზე სარგებელის გაცემას. აღნიშნული გაცემული სესხების გაუფასურება ჯგუფის მიერ აღიარებული იქნა პირდაპირ კაპიტალში, როგორც მფლობელის გადაწყვეტილებით განხორციელებული ოპერაციის ეკონომიკური შედეგი ჯამურად 2,417 ათასი ლარი.

22. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2022 წელს მომხმარებელმა წამოიწყო სასამართლო დავა ჯგუფის წინააღმდეგ სახელშეკრულებო ვალდებულების დაბრუნებაზე, რომლის თანხა შეადგენდა 5,142 ათას ლარს. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დავა დაასრულეს ჯგუფის სასარგებლოდ და მოსარჩელის მოთხოვნა ცნეს ხანდაზმულად. უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო სარჩელი განხილვაში, რის შედეგადაც 2024 წლის ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის დავა სრულად დასრულებულია ჯგუფის სასარგებლოდ. ვალდებულების აღიარების შეწყვეტიდან ჯგუფმა აღიარა მოგება სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტიდან (შენიშვნა 9). შედეგად, დაიხურა აღნიშნულ დავასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულება.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას. მომავალი დივიდენდით განპირობებული მოსალოდნელი მოგების გადასახადი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 401 ათას ლარს (2023: 7,390 ათასი ლარი).

სხვა - ჯგუფი ვალდებულია სახელმწიფო საპენსიო სქემაში ჩართული თანამშრომლის სასარგებლოდ საპენსიო სააგენტოში გადარიცხოს სახელფასო ანაზღაურების 2%.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- ჯგუფმა დაკავშირებულ მხარეზე (საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ოჯახის წევრზე) გასცა სესხი 924 ათასი ლარი წლიურ 12%-ში. განახორციელა 2024 წელს გაცემული სესხების პროლონგაცია 1 წლის ვადით.
- ჯგუფმა აიღო სესხი 1,031 ათასი და შეიძინა 838 ათასი ლარის სპეცტექნიკა.

მიქსორი ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

შპს „მიქსორი“: წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 11 აპრილს საიდენტიფიკაციო ნომრით: 205249827, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0117, ხანძრის ქუჩა N1. შპს მიქსორის ჯგუფის სტრუქტურის შესახებ იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 1. კომპანიის მეწილეების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაში.

2008 წელს მიქსორმა ქვიშისა და ღორღის წარმოება დაიწყო, რასაც მალევე ავჭალაში ბეტონის თანამედროვე ქარხნის აშენება მოჰყვა. დაარსებიდან რამდენიმე თვეში, მიქსორმა შეძლო ჩამოეყალიბებინა მაღალი სტანდარტის მქონე ბეტონის ქარხანა, თანამედროვე ლაბორატორიითა და უახლესი მძიმე ტექნიკით.

კომპანიის უმთავრესი ამოცანა ქართულ ბაზარზე საერთაშორისო სტანდარტისა და ხარისხის დამკვიდრებაა. კვალიფიციური ლაბორანტები მუდმივად ამოწმებენ წარმოებული ბეტონის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

კომპანია მიქსორს აქვს საერთაშორისო ხარისხის მართვის (ISO) სერთიფიკატი სასაქონლო ბეტონის წარმოებასა და მიწოდებაზე, რომელსაც მუდმივად ანახლებს, გამოცდილი გუნდი კი მუდმივად აკონტროლებს მომხმარებელამდე სტანდარტების დაცვით ბეტონის დროულ მიწოდებას.

დღეს მიქსორი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა ბეტონის ბაზარზე და ლიდერია რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების დარგში. კომპანიის მიერ დამზადებული რკინაბეტონის კონსტრუქციები უკონკურენტოა ქართულ ბაზარზე, სწორედ შპს მიქსორის შპალებითა და სარკინიგზო დგარებით ხორციელდება ყველა მნიშვნელოვანი სარკინიგზო პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე, როგორცაა ბაქო-თბილისი-ყარსის, თბილისის შემოვლითი რკინიგზისა და არსებული სარკინიგზო მაგისტრალების რეაბილიტაციის პროექტები.

როგორც ეს განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში 2024 წლის თებერვალში ჯგუფმა გაყიდა ინვესტიციები სს ქართული ლუდის კომპანიაში და შპს რითეილ ინვესტმენტსში. ოპერაციის შედეგად, გადაცემული შვილობილი კომპანიების საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირები არ შეცვლილა. ოპერაციის შედეგად კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგებოს ინფორმაცია 2024 წლისთვის არსებითად არ განსხვავდება კომპანიის ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგების ინფორმაციისგან. შესადარისობის მიზნით ჯგუფი კონსოლიდირებულ მმართველობითი ანგარიშგებაში წარადგენს ინფორმაციების ჯგუფში შემავალი მოქმედი ბიზნესების შესახებ 2023 წლისთვის.

შპს „რითეილ ჯგუფი“: დაარსდა 2017 წლის 7 ნოემბერს და 2018 წლის იანვრიდან ოპერირებს სუპერმარკეტების ქსელით „მაგნიტის“ ბრენდით. კომპანიის მიზანია რეგიონებში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ეკონომიკური აქტიურობის ხელშეწყობა. „მაგნიტი“ წარმოადგენს ფასდაკლების სუპერმარკეტების ქსელს, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს რეგიონებში გაფართოებაზე და მომხმარებლებისთვის მრავალფეროვანი ასორტიმენტის შეთავაზებაზე. ქსელის სტრატეგიაა — უზრუნველყოს ყოველდღიური მოხმარების საქონლის მუდმივი ხელმისაწვდომობა და კომფორტული შოპინგის გამოცდილება. 2023 წლის ბოლოს კომპანია საქმიანობდა 349 მაღაზიით და ფლობდა სამ ძირითად საწყობს: ორ თბილისში (აღმოსავლეთ საქართველოსთვის) და ერთ ქუთაისში (დასავლეთ საქართველოსთვის). გარდა ამისა, კომპანიას აქვს საწარმოო ობიექტები ვარკეთილში, ქუთაისში, გორსა და რუსთავში, ხოლო პროდუქციის ტრანსპორტირება მაღაზიებში ძირითადად დისტრიბუტორების მიერ ხორციელდება.

სს „ქართული ლუდის კომპანია“: წარმოადგენს ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ერთ-ერთ წამყვან მწარმოებელს საქართველოში. დაფუძნებულია 2011 წელს და 2012 წლიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე. მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართია მცხეთა, სოფელი საგურამო (საიდ. №404900737). წარმოება დაფუძნებულია თანამედროვე გერმანულ და ჩეხურ ტექნოლოგიებზე და აღჭურვილია ევროპული სტანდარტების დანადგარებით. კომპანიის პორტფელი მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე ლიცენზირებულ ბრენდებს. პროდუქცია წარმოდგენილია ქვეყნის მასშტაბით საცალო ქსელებში, რესტორნებსა და კაფეებში, ხოლო საექსპორტო მიმართულებით აღინიშნება სტაბილური ზრდის ტენდენცია.

შპს ზედაზენი 2012: გუფმა შეიძინა 2023 წლის ბოლოს წარმოადგენს სადისტრიბუციო კომპანიას. სადისტრიბუციო კომპანია ახორციელებს როგორც ქართული ლუდის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას ასევე სხვა პროდუქციის დისტრიბუციას. სადისტრიბუციო კომპანია ოპერირებს თბილისში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში. 2023 წელს ადგილობრივ ბაზარზე ქართული ლუდის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 85% რეალიზაცია განხორციელდა შპს ზედაზენი 2012-ის მიერ.

მიქსორი ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

ჯგუფის სტრატეგია და მიზნები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. ჯგუფის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მათი მიზანი მომხმარებლის ნდობის გამართლება, შენარჩუნება და გაზრდაა.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ჯგუფი ორიენტირებულია მომავალზე და სურს უფრო მეტი საინტერესო გააკეთოს, როგორც თავის ინდუსტრიაში, ისე მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში. ჯგუფი გეგმავს თავისი პორტფელის კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას, რათა მომხმარებლებს შესთავაზოს მრავალფეროვანი არჩევანი.

შპს მიქსორი გეგმავს მზა რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების და პროფილის გაფართოებას სხვადასხვა ინდუსტრიების მიმართულებით (სარკინიგზო, საგზაო, ინფრასტრუქტურული, სოფლის მეურნეობის, კერძო სამშენებლო სექტორის მიმართულებებით), რათა უზრუნველყვით დივერსიფიცირება სექტორების მიხედვით და მეორეს მხრივ აითვისოს ბაზრის ის ნიშა, რომელიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში. აღნიშნული პროექტებიდან აღსანიშნავია სარკინიგზო ბრუსების წარმოება და წინასწარ ჩამოსხმული რკინაბეტონის კონსტრუქციებით კერძო საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების (1, 2 და 3 სართულიანი) აწყობა-მშენებლობას მთელი საქართველოს მასშტაბი.

ჯგუფის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2023 წლის დეკემბერში ჯგუფის ბენეფიციარი მაკონტროლებელი მფლობელების გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა რეორგანიზაციის გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც კომპანიამ დაიწყო სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ და შპს „რითეილ ინვესტმენტში“ (შესაბამისად შპს „რითეილ ჯგუფში“) კუთვნილი წილების გასხვისების პროცესი. აღნიშნული წილების გაყიდვა დასრულდა 2024 წლის თებერვალში. ამ გადაწყვეტილების შედეგად, სს „ქართული ლუდის კომპანიის“ და შპს „რითეილ ჯგუფის“ საქმიანობის შედეგები წარდგენილია, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია. შესაბამისად, მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ჯგუფის ძირითადი მიღწევებისა და ფინანსური შედეგების მიმოხილვა ასახავს მხოლოდ განგრძობით ოპერაციებს, რაც ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო სრულად და ობიექტურად წარმოაჩენს ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის შედეგებსა და ეფექტიანობას.

ჯგუფის მომგებიანობა განგრძობითი ოპერაციებიდან 2024 და 2023 წელს სხვადასხვა მაჩვენებლებით იყო შემდეგი:

	2024	2023	% ცვლილება
მთლიანი ამონაგები	54,277	61,457	-12%
საერთო მოგება ცვეთამდე და ამორტიზაციამდე	11,139	13,665	-18%
საერთო მოგება ცვეთამდე და ამორტიზაციამდე/მთლიან ამონაგებზე	21%	22%	
საოპერაციო მოგება ცვეთამდე და ამორტიზაციამდე	8,165	16,055	-49%
საოპერაციო მოგება ცვეთამდე და ამორტიზაციამდე/მთლიანი ამონაგებზე	15%	26%	

ამონაგების შემცირება განაპირობა საქართველოს რკინიგზასთან გაფორმებულმა ხელშეკრულების დასრულებამ, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შპალების მიწოდება. საერთო მოგების მარჟა ცვეთამდე და ამორტიზაციამდე შენარჩუნებულია სტაბილურად.

საოპერაციო მოგების შემცირება განაპირობა 2023 წელს ხანდაზმული სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარების შეწყვეტამ (იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 9; 22). მისი ეფექტის გარეშე საოპერაციო მოგების მარჟა ცვეთამდე და ამორტიზაციამდე შეადგენს 18%. შემცირება განაპირობა ხელფასების პროცენტული ზრდის გადაჭარბებამ გასაყიდი ფასების %-ულ ზრდაზე. კომპანია სხვადასხვა პროდუქციას ყიდის სხვადასხვა მარჟით, რაც ასევე განაპირობებს მარჟების ცვალებადობას.

გამსვლელი ჯგუფის და შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 19.

ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა

შპს „მიქსორი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 11 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიის მფლობელების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მფლობელები	2024	2023
ცეზარ ჩოჩელი	50%	50%
იზოლდა ჩარიგოგდიშვილი	50%	50%
შპს ქისტოუნ ინვესტმენტს	-	15,75%

მიქსორი ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

ჯგუფის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმომადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - ილია შიხაშვილს, რომელიც დანიშნულია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. კომპანიაში მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის ე) მარკეტინგის განყოფილება;
- კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება;
- ბ) ფინანსური განყოფილება;
- ვ) წარმოების განყოფილება;
- გ) გაყიდვების განყოფილება;
- ზ) ადმინისტრაციული განყოფილება;
- დ) შესყიდვების განყოფილება;

მენეჯმენტისთვის ერთერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ჯგუფში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით, ასევე, თანამშრომლები სარგებლობენ მენეჯმენტის მიერ შემუშავებული ბონუსის სისტემით.

ძირითადი რისკები და საფრთხეები

შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილია მშობელი საწარმოს (ქვემოთ მოხსენიებული, როგორც კომპანია) ძირითადი რისკების და საფრთხეები, რადგან ასახავს მხოლოდ განგრძობით ოპერაციებს, რაც ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო სრულად და ობიექტურად წარმოაჩენს ჯგუფის რისკებს და მათ მართვას.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კერძოდ, ყოველი თვის დასაწყისში ხორციელდება წინა თვის შედეგების შემოწმება და შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან. ასევე ყოველთვიურად ტარდება მარაგების ინვენტარიზაცია.

კომპანიის შიდა მონიტორინგის და გაყიდვების სამსახური დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის მენეჯმენტს თავის მოსაზრებას.

კომპანიის ძირითად რისკებად შეიძლება განიხილოს:

ნედლეულის ფასის მერყეობა და მიწოდების ჯაჭვის რისკი რისკი: სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია ნედლეულის, განსაკუთრებით ინერტული მასალებისა და ენერგორესურსების ფასის მერყეობა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნია ვერტიკალურად ინტეგრირებული წარმოების ჯაჭვი, ბალასტის მოპოვებიდან ბეტონის წარმოებამდე, რაც ამცირებს გარე მომწოდებლებზე დამოკიდებულებას, ტრანსპორტირების, საწვავის ან ენერგიის ფასების ზრდამ მაინც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროდუქციის თვითღირებულებაზე.

მართვა: კომპანია ახორციელებს შიდა რესურსების ოპტიმიზაციას, ზრდის საწარმოო ეფექტურობას და დივერსიფიცირებულად მართავს მომწოდებლებთან ურთიერთობას. ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება და წარმოების მონიტორინგი უზრუნველყოფს ხარჯების კონტროლს და ფასების მერყეობის გავლენის შემცირებას.

მშენებლობის სექტორის მარეგულირებელი ცვლილებები რისკი: სამშენებლო სექტორში რეგულაციების გამკაცრება, მათ შორის უსაფრთხოების, ხარისხის და გარემოსდაცვითი სტანდარტების გაძლიერება, შესაძლოა კომპანიისთვის გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ასევე, საქართველოს ვალდებულება ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაციის მიმართულებით მოიცავს პროდუქტის სერტიფიცირების, ენერგოეფექტიანობისა და გარემოზე ზემოქმედების ახალ მოთხოვნებს.

მართვა: კომპანია მუდმივად მონიტორინგს უწევს მარეგულირებელ ცვლილებებს, თანამშრომლობს ინდუსტრიის ასოციაციებთან და ახორციელებს პროცესების ადაპტაციას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მენეჯმენტი პრიორიტეტად მიიჩნევს შესაბამისობას გარემოსდაცვითი და ტექნიკური რეგულაციებთან, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მდგრადობას და ბაზრის კონკურენტუნარიანობას.

მიქსორი ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მოთხოვნის ციკლორობა და ბაზრის ვარდნის რისკი რისკი: ბეტონისა და ბეტონპროდუქტების ბაზარი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო აქტივობასთან. ეკონომიკური ზრდის შენელებამ, ინფრასტრუქტურული პროექტების დაყოვნებამ ან კერძო მშენებლობების შემცირებამ შეიძლება დროებით შეამციროს კომპანიის პროდუქციის მოთხოვნა.

მართვა: კომპანია ამცირებს ციკლორობის გავლენას პროდუქციისა და სერვისების დივერსიფიკაციით, სტრატეგია მოიცავს როგორც კერძო, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის მუნიციპალურ და სახელმწიფო ტენდერებს. პარალელურად მიმდინარეობს ახალი ბაზრების მოძიება და გაყიდვების ქსელის გაფართოება.

გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის რისკი რისკი: ბალასტის მოპოვება და ბეტონის წარმოება დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედებასთან მათ შორის ჰაერის დაბინძურების, ხმაურისა და ნარჩენების მართვის საკითხებთან.

მართვა: კომპანია ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის პოლიტიკას, იყენებს მტვრისა და ნარჩენების მართვის სისტემებს, ატარებს რეგულარულ მონიტორინგს და მონაწილეობს გარემოსდაცვით ინიციატივებში. კომპანია ზრუნავს უსაფრთხო სამუშაო გარემოზე.

ადამიანური რესურსების რისკი რისკი: ტექნიკური და ინჟინერული პერსონალის დეფიციტი, სამუშაო პირობების სირთულე და კადრების მიგრაციამ შეიძლება შეამციროს საწარმოს ოპერაციული ეფექტიანობა.

მართვა: კომპანია ინვესტირებს ახორციელებს პერსონალის გადამზადებასა და პროფესიული უნარების განვითარებაში, ახორციელებს სტიმულირების სისტემებს და უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს კადრების შენარჩუნებას და მოტივაციის ზრდას.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ილია შიხაშვილი

ფინანსური დირექტორი

ანა ჩოჩელი

მიქსორი ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მოთხოვნის ციკლობა და ბაზრის ვარდნის რისკი რისკი: ბეტონისა და ბეტონპროდუქტების ბაზარი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო აქტივობასთან. ეკონომიკური ზრდის შენელებამ, ინფრასტრუქტურული პროექტების დაყოვნებამ ან კერძო მშენებლობების შემცირებამ შეიძლება დროებით შეამციროს კომპანიის პროდუქციის მოთხოვნა.

მართვა: კომპანია ამცირებს ციკლობის გავლენას პროდუქციისა და სერვისების დივერსიფიკაციით, სტრატეგია მოიცავს როგორც კერძო, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის მუნიციპალურ და სახელმწიფო ტენდერებს. პარალელურად მიმდინარეობს ახალი ბაზრების მოძიება და გაყიდვების ქსელის გაფართოება.

გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის რისკი რისკი: ბალასტის მოპოვება და ბეტონის წარმოება დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედებასთან მათ შორის ჰაერის დაბინძურების, ხმაურისა და ნარჩენების მართვის საკითხებთან.

მართვა: კომპანია ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის პოლიტიკას, იყენებს მტვრისა და ნარჩენების მართვის სისტემებს, ატარებს რეგულარულ მონიტორინგს და მონაწილეობს გარემოსდაცვით ინიციატივებში. კომპანია ზრუნავს უსაფრთხო სამუშაო გარემოზე.

ადამიანური რესურსების რისკი რისკი: ტექნიკური და ინჟინერული პერსონალის დეფიციტი, სამუშაო პირობების სირთულე და კადრების მიგრაციამ შეიძლება შეამციროს საწარმოს ოპერაციული ეფექტიანობა.

მართვა: კომპანია ინვესტირებს ახორციელებს პერსონალის გადამზადებასა და პროფესიული უნარების განვითარებაში, ახორციელებს სტიმულირების სისტემებს და უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს კადრების შენარჩუნებას და მოტივაციის ზრდას.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 13 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ილია შიხაშვილი
ანა ჩოჩელი